



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 კრედიტი.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც სასურველია დოქტორანტმა დააგროვოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არანაკლებ ექვსი სემესტრის განმავლობაში.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური მეცნიერებების სფეროში თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერულ კვლევას, სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ცოდნის შექმნას, დარგის განვითარებისთვის ხელის შეწყობას, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას, მათ საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, რაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის

მიერ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანისათვის. შესაბამისად სადოქტორო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს სოციალურ მეცნიერებათა სფეროს ქვედარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშაოს არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- გამოუმუშაოს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისა და გამოქვეყნების უნარი;
- გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირების, ლოგიკური მსჯელობისა და არგუმენტირების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადების უნარი;
- გამოუმუშაოს პრობლემათა იდენტიფიცირებისა და ანალიზის, აგრეთვე პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშაოს პრაქტიკულ საქმიანობაში სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს სოციალურ მეცნიერებათა ქვედარგში გლობალურ პრობლემატიკაში იოლად ადაპტირების უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, გამონაკლისი დაიშვება სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით კვალიფიკაციის შეფასების მიხედვით. დეტალები მისაღები პროცედურების შესახებ იხ. ვებგვერდზე: <https://gipa.ge>
დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით.
ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი წარმოადგენს დარგის ექსპერტს, რომელსაც აქვს უნარი შექმნას ახალი ცოდნა, შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, დამოუკიდებლად და მაღალკვალიფიციურად შეასრულოს კვლევა თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით, რომლის შედეგებიც გამოქვეყნებას იმსახურებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მისი სპეციალობით, სალექციო კურსის მომზადება და ჩატარება, სხვა კვლევითი პროექტისთვის ზედამხედველობის გაწევა. მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ინტერდისციპლინარული კვლევის შესრულების დროს.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

ცოდნა და გაცნობიერება

- სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთი დარგის უახლეს ან/და აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე.
- ფლობს დარგში სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.
- არსებულ ცოდნას კრიტიკულად იაზრებს და ნაწილობრივ გადაფასების გზით აცნობიერებს ცოდნის განახლებულ ფარგლებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- სწავლის დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს კვლევას.
- შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს.
- დამოუკიდებლად არჩევს საკვლევ საკითხებს, აყალიბებს კვლევის კითხვებს და ჰიპოთეზებს
- ირჩევს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ ინოვაციურ კვლევის სტრატეგიას.

დასკვნის უნარი

- აქვს ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და ცოდნის სინთეზის უნარი;
- კრიტიკულად აანალიზებს რთულ და ხშირად წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების და განვითარების ხელისშეწყობის მიზნით.
- სინთეზის და შეფასების საფუძველზე, დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.
- კვლევის შედეგების საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.
- აქვს პრობლემების მეცნიერული ინტერპრეტირების უნარი, რაც საჭიროა საერთაშორისო სტანდარტის დონეზე საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის.

კომუნიკაციის უნარი

- სამეცნიერო მოხსენებების და პრეზენტაციების მომზადების უნარი, როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე ფართო აუდიტორიისათვის;
- დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას არსებულთან ურთიერთკავშირში.
- დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთგება დისკუსიაში სამეცნიერო საზოგადოებასთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ჯგუფში მუშაობის, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გზით.

სწავლის უნარი

- სწავლის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ავითარებს, კრიტიკულად იაზრებს და ნერგავს ახალ იდეებს.
- განსაზღვრავს სწავლის საჭიროებებს, დამოუკიდებლად გეგმავს/ახორციელებს, სწავლას და სასწავლო პროცესს
- ეფექტიანად მართავს დროსა და რესურსებს.

ღირებულებები

- იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების გზებს, შეიმუშავებს მათ დასამკვიდრებლად ინოვაციურ მეთოდებს.
- იცავს პროფესიონალური საქმიანობის ეთიკის ნორმებს.
- აფასებს და პატივს სცემს კოლეგების აზრს.
- მოქმედებს სამეცნიერო ეთიკის პრინციპების შესაბამისად.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

ლექცია

ჯგუფში მუშაობა

პრაქტიკული მუშაობა

სემინარი

ელექტრონული რესურსით სწავლება

ელექტრონული სწავლება

სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილი მეთოდებიდან ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

დასაქმების სფერო:

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლო და კვლევით ინსტიტუტებში, კერძო/დამოუკიდებელ კვლევითი ორგანიზაციებში და ა.შ.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.)

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნათია ჭიღვარია (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სამუშაოს აღწერილობა და რეზიუმე)

პროგრამის სტრუქტურა

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან (120 ECTS). სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და მისი შეფასების სისტემა

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან. ინდივიდუალურ სასწავლო/კვლევით გეგმას, სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შინაარსი და შეფასების სისტემა აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

№	სასწავლო კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი / საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	სწავლების შედეგების რუკა
---	---------------------	---------------------	-----------------	------------------------------	--------------------------

				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი	ცოდნა და გაცნობიერი	ცოდნის პრაქტიკაში	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	1. სავალდებულო ელემენტები		36 ECTS								
1.1	თვისობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი	არ გააჩნია	12/158	48	250	X	X	X	X	X	
1.2	სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები	არ გააჩნია	6/150	36	120	X	X	X	X	X	X
1.3	პირველი სადოქტორო სემინარი	არ გააჩნია	18/450	28	422	X	X	X	X	X	X
	2. არჩევითი სასწავლო ელემენტები		12 ECTS								
2.1.	აკადემიური წერა ¹	არ გააჩნია	6/154	24	130	X	X	X	X	X	X
2.2	მეცნიერების მენეჯმენტი		6	30	125	X	X	X	X	X	X
2.3	პოლიტიკის კომუნიკაცია და პოლიტიკის დოკუმენტის წერა		3	18	60	X	X	X	X	X	X
2.4	კვლევითი პროექტის შედგენა და ფონდების მოძიება		3	18	60	X	X	X	X	X	X
2.5	სადოქტორო სემინარი 2		18	28	422	X	X	X	X	X	X
2.6	პროფესორის ასისტენტობა ² (ირჩევენ ის დოქტორანტები, ვისაც არა აქვს	არ გააჩნია	12/300			X	X	X	X	X	X

¹ აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულოა იმ დოქტორანტებისათვის, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას არა აქვთ გავლილი აღნიშნული სასწავლო კურსი.

² პროფესორის ასისტენტობის საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით. დოქტორანტი, რომელსაც აქვს გამოცდილება სწავლების და არის ლექტორი თავისუფლდება პროფესორის ასისტენტობის ვალდებულებებისგან.

სწავლების გამოცდილება)										
------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებით განსაზღვრული სასწავლო აქტივობების ნაცვლად დოქტორანტს შეიძლება ელიაროს:

- საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. ამასთან, საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესით განსაზღვრული პრინციპებით.
- უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. ამასთან, უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება ითვალისწინებს დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში და ეფუძნება შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს დოქტორანტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო

ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დოქტორანტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით

გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

პროსპექტუსის დაცვა

მესამე სემესტრში დოქტორანტი ვალდებულია წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომის პროსპექტუსი დარგობრივ კომისიასთან, რომელიც არის სადისერტაციო კვლევის პროექტი. პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევის და ანალიზის შედეგს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც დოქტორანტმა მესამე სემესტრში უნდა დაასრულოს და წარმოადგინოს. პროსპექტუსში უკვე ჩანს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალურობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება.

ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს ის მეთოდები, რომლის გამოყენებითაც შეეცდება კვლევის ჩატარებას. ასევე უნდა გააჩნდეს ლოგიკური მსჯელობის შედეგად დასაბუთებული წინასწარი შეხედულება/მოლოდინი კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება. კვლევის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, პროსპექტუსის დასრულების შემდეგ დოქტორანტი წარუდგენს მას დარგობრივი კომისიის წევრებს. პროსპექტუსში უკვე აღწერილია სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. პროსპექტუსი უნდა შესრულდეს 12 ზომა სილფაენის შრიფტით, სტრიქონებს შორის დაშორება 1.5 და შეადგენდეს მინიმუმ 30 გვერდს.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:

- სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings); თუ აღნიშნული ჟურნალი შედის ისეთ სამეცნიერო ჟურნალების ბაზაში, როგორცაა - (Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH, EBSCOHost, Latindex Catalogue etc), მაშინ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებაც საკმარისია.
- მინიმუმ ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას (პირადად მოხსენების გაკეთებას).

დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ:

- დაბეჭდილია ჟურნალის შესაბამისი ტომი (ან გადაცემულია/ჩაშვებულია დასაბეჭდად);
- ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი თავისუფლდება სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ვალდებულებისაგან, თუ მას სადოქტორო თემასთან დაკავშირებით გამოცემული აქვს შესაბამისი მონოგრაფია.

თუ დოქტორანტს სამეცნიერო სტატია არ აქვს გამოქვეყნებული ისეთ სამეცნიერო ჟურნალების ბაზაში, როგორცაა - (Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH, EBSCOHost, Latindex Catalogue etc), მაშინ უნდა წარმოადგინოს უცხოელი პროფესორის რეკენზია რომელიმე სამეცნიერო სტატიაზე ან სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატზე.

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და მისი შეფასების სისტემა (120 ECTS)

დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია), რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, სამეცნიერო დისკუსიით).

დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სოციალურ მეცნიერებათა განვითარებაში.

დისერტაციაზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე საჯაროდ. დისერტაციის შესაფასებლად სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე. სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს კონფიდენციალურად, 100 ქულიანი სისტემით, შედეგის მიღწევის დადგენილი მეთოდებისა და

კრიტერიუმების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭოს წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე), რომელსაც შეეფარდება ლათინური შეფასება. დისერტაციის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

ფრიადი (summa cum laude)	შესანიშნავი ნაშრომი	მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
ძალიან კარგი (magna cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება	მაქსიმალური შეფასების 81-90%
კარგი (cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება	მაქსიმალური შეფასების 71-80%
საშუალო (bene)	საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს	მაქსიმალური შეფასების 61-70%
დამაკმაყოფილებელი (rite)	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს	მაქსიმალური შეფასების 51-60%

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

არადამაკმაყოფილებელი (insufficient)	არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო	მაქსიმალური შეფასების 41- 50%
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს	მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება უფლება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი თავიდან წარმოადგინოს. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სამეცნიერო საბჭოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.

არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დისერტაციის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასების შემდეგი მეთოდები და კრიტერიუმები:

№	შედეგის მიღწევის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები	მაქსიმალური შეფასების %
1	დისერტაციის წერითი შეფასება	50%,მ.შ.
1.1	დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი	10%
1.2	სადისერტაციო ნაშრომის სათანადო სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დასახული კვლევითი ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა	10%
1.3	დისერტაციის კვლევითი ამოცანის/ამოცანების გადაწყვეტის სრულყოფილება	10%
1.4	საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის, ფაქტობრივი მონაცემების დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი	10%
1.5	დისერტაციის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა	10%
2	პრეზენტაცია	40%,მ.შ.
2.1	სადისერტაციო თემის აქტუალობა და სიახლე; სადისერტაციო თემის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან	10%
2.2	კვლევის პროცესში ადეკვატური მეცნიერული მეთოდების შერჩევა და გამოყენება; წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები	10%
2.3	სადისერტაციო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა	10%
2.4	პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე)	10%

3	დისკუსია	10%,მ.შ.
3.1	დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემა	10%